# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ქ. თბილისი

MES 4 20 0001243304

30/12/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილში: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მეღვინეობის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილში: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მეღვინეობის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი;
2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის N1242176 სხდომის ოქმის N07 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით

შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა